ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2585 სამშაბათი, 17 აგვისტო 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2585

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანკის ხიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

დღევანდელ №-თან პროვინციის ხელის მომწერთ ურიგდებათ „რამდენიმე ცნობა ფოთის საბუჰხგალტერო კურსების მოქმედება“.

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წლიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას არტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიებია და სხვათა ამ გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. **გიგინეიშვილი**.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—5.—15)

პ ა ნ ს ი ო ნ ი

ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა.

მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—16)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ე ქ ი მ ე ბ ი:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერიულ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბა[illegible] მთ[illegible]ლი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხო[illegible]ლემსკი.—ქირურგია და ორტოპ. [illegible]: ოროშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. [illegible]3 საათამდე.

[illegible]. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

მძ. **ქალი მ. ქ. იოხელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ნ. მ. ხოგოლემსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდა-ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(ზრ.) **ტელეფონი № 274.**

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ლიტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—2)

ქუთაისის

ქალთა პროგიმნაზიის

(სამინისტროსი) მთავრობა აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ და მეორე კლასებში დაიწყებ[illegible] 190[illegible] წლის 26 აგვისტოს. (3—6.—2)

ქ უ თ ა ი ს შ ი

თ. გ. მაჭავარიანის კერძო საქალებო

პროგიმნაზიაში

მისაღები ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოს. სასწავლებელი იმყოფება ტფილისის ქ. თ. ნიჟარაძის სახლში. (4—3595—2)

ქ უ თ ა ი ს ი ს

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან მიიღო **ს. ბ. თოფურიას საავადმყოფო** ამბულატორიით, რომელიც დაიწყებს მოქმედებას 7 აგვისტოდან ამა 1904 წ. იმავე პირობებით, რა პირობებითაც იგი მოქმედებდა ს. ბ. თოფურიას სიცოცხლეში. საავადმყოფო და ამბულატორია მოთავსებული იქნება განსვენებულ თოფურიას სახლში. (10—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აგვისტო

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, მისს უდიდებულესობის სახელზე 13 აგვისტოს გამოგზავნილი: „12 აგვისტოს იაპონელებმა გამოილაშქრეს მარტო იმ ჯარის წინააღმდეგ, რომელიც წინად აღმოსავლეთის რაზმს შეადგენდა. იაპონელებს ამ ადგილას ჰყავთ ორი ქვეითა დივიზია და მრავალ რიცხოვანი არტილერია. როგორც ჩვენმა, ისე იაპონიის ჯარმა ღამე პოზიციებზე გაატარა, ერთი ერთმანეთზე 3—5 ვერსის მანძილზე. ამ დღეს, 12 აგვისტოს, ჩვენ მოგვიკლეს დაგვიჭრეს 100 კაცამდე. ღამემ წყნარად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით წვრილ-წვრილ შეტაკებებს. დღეს, 13 აგვისტოს, იაპონელები ყოველის მხრით გამოელაშქრნენ ჩვენის ჯარის წინააღმდეგ. ზემოაღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას“.

გენერალ-ადიუტანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 13 აგვისტოს: „დღეს, 13 აგვისტოს, იაპონელებმა გამოილაშქრეს და და იერიში მოიტანეს ყველგან, სადაც კი მანჯურიის ჯარია. თავიანთ მარცხენა ფრთეზე, რკინის გზის დასავლეთით, იაპონელებმა დილა ადრიან დაიჭირეს გენჯუანძი (ხაიჩენის ჩრდილოეთით 13 ვერსის მანძილზე), ტოლუნჟაია და განტუანპუ და განდევნეს ამ ადგილებიდან ჩვენი მოწინავე სადარაჯოები. შუა დღისას იაპონელები შეჩერდნენ და წინ აღარ წამოვიდნენ. ანშანჯანის პოზიციების მარცხენა ფრთეს წინ იდგნენ ჩვენი მოზინავე რაზმები. გათენებისას ამ რაზმების პირდაპირ იაპონელებმა თავი მოუყარეს $1\frac{1}{2}$ დივიზიასა და არტილერიას და ჩვენი რაზმები განდევნეს. ეს რაზმები მთავარ პოზიციაზე დადგნენ. აქ იაპონელები მაინც და მაინც მხნედ არ მოქმედებდნენ. ამ მხარეს ჩვენ დავკარგეთ 150 კაცი. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ზარბაზნების სროლა ასტყდა დილის $5\frac{1}{2}$ საათზე. 6 საათზე თოფების სროლაც ასტყდა. ამ დროს აღმოჩნდა, რომ იაპონელთა ქვეითა ჯარს იერიში მოჰქონდა ჩვენის პოზიციის მარცხენა ფრთაზე. დილის 7 საათზე მარჯვენა ფრთეზე ჩვენმა ჯარმა უკუ აგდო სალაშქროდ წამოსული იაპონელთა ორი ბატალიონი. დილის 11 საათზე ჩვენის ბატარეების მეოხებით ჩაჩუმდა იაპონელთა 24 ზარბაზნიანი ბატარეა, რომელიც იდგა ტუნსიპუსთან (ლიანდიასანის სამხრეთ-დასავლეთით, 8 ვერსის მანძილზე). ამ ბატარეის მეომარნი აქეთ-იქით გაიქცნენ. იაპონელებმა მოისურვეს ზარბაზნების წაღება, მაგრამ ჩვენის ყუმბარების გამო ვერ შესძლეს. ნაშუადღევის პირველ საათზე იაპონელები უფრო მხნედ გამოემართნენ ჩვენის ჯარის წინააღმდეგ კოფინძთან (ლიანდიასანის დასავლეთით, 6 ვერსის მანძილზე). იმათი საკმაოდ ძლიერი ჯარი აღმოჩნდა ლაოდინტანის მიდამოებში (ლიანდიასანის სამხრეთ-დასავლეთით, 14 ვერსის მანძილზე). იაპონელებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში, მაგრამ უნაყოფოდ. ამის შემდეგ ჩვენი ჯარი წინ წავიდა და იაპონელნი ნახიგოუს ხეობისკენ დასწია. ჩვენ დავკარგეთ 300 კაცი. აღმოსავლეთის მხარეს იაპონელები გათენებისავე გამოემართნენ სალაშქროდ. მარჯვენა ფრთეზე ჩვენმა ჯარმა თავი მიანება მოწინავე პოზიციებს, რომელიც ხელს უშლიდა არტილერიის მოქმედებასა და უკან დაიწია მთავარ პოზიციაზე. ბრძოლა აღმოსავლეთის მხარეს ცხარე იყო. რამდენჯერმე საქმე ხიშტებამდეც მივიდა. ჩვენ დავკარგეთ ათას კაცამდე, ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, არც დაწვრილებით ამბები მოგვსვლია. ნაშუადღევს ლიაოიანსა და მიდამოებში საკმაოდ ძლიერი წვიმა წამოვიდა. მდინარეები დიდდება.“

ვლადივოსტოკი. (სააგენტოს საკ. კორესპონდენტისაგან). კრეისერებს „როსია“-სა და „გრომობოი“-ზე დაჭრილთ გულით უნდათ ხელ-ახლა გემებზე ყოფნა. ამ გემების შესაკეთებლად ცხარე მუშაობაა. მალე კრეისერები მზად იქმნებიან ზღვაში გასასვლელად.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). კორეის იმპერატორმა თანხმობა განაცხადა იმ რეფორმების შემოღებაზე, რომელიც იაპონიის ელჩმა ურჩია, სახელდობრ: შემოიღებენ კორეაში იაპონურ ფულს, დაითხოვენ კორეის ჯარს გარდა იმპერატორის დამცველ რაზმისა, რომელშიაც 1000 კაცი იქნება, და დაიბარებენ კორეის ყველა ელჩებსა და კონსულებს; ამათ ნაცვლად საზღვარ-გარედ კორეის ინტერესებს დაიცავენ იაპონიის სადიპლომატო წარმომადგენელნი.

ტიანძინი („რეიტ. სააგ.“). ცინანფუს ოლქში კედლებზე გაკრულია შემდეგის შინაარსის განცხადებანი: „სიკვდილი უცხოელ ეშმაკებს!“ მეშვიდე თვიდან ქრისტიანე ჩანელნი იხიზნებიან ამ ოლქიდან.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). ტოკიოდან მიღებულ ცნობებით, იაპონიაში იმ ადგილზე, რომელიც ხაზინას ეკუთვნის, აღმოუჩენიათ ოქროს მდიდარი მადნები, რომლის შემოსავალიც 2-3 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქმნება.

ბერლინი (სააგენტოს საკუთ. კორესპ.). 13 აგვისტოს ლიაოიანიდან გამოგზავნილ ცნობებით, რუსისა და იაპონიის მოწინავე ჯარს შორის ამ დღეს ყველგან შეტაკებები მოჰხდა, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს—ცხარე ბრძოლა. გენერალ კუროკის სამმა დივიზიამ იერიში მიიტანა, მაგრამ რუსის ჯარმა მოიგერია. იაპონელთა 32 ზარბაზანი წახდენილ იქმნა. საყურადღებო ამ დღეს რუსის ჯარის უპირატესობა იყო.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). როგორც ტიანძინიდან მიღებულ კერძო, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდანა სჩანს, 14 აგვისტოს იაპონელები იტშანის სიმაგრიდან პორტ-არტურში შევიდნენ. იაპონელებმა ბრძოლის სრულიად გათავებამდე არ ისურვეს ოფიციალურად რისამე გამოცხადება.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ.“). იაპონიის ელჩი სახელმწიფო დეპარტამენტში იყო, სადაც სთქვა, მოხარული ვარ, რომ თანხმობა განაცხადეთ რუსის გემებისათვის შანჰაიში იარაღის აყრის შესახებაო. ამასთან დაუმატა, საჭიროა იარაღის აყრა ისე მოჰხდეს, რომ იაპონიის სამხედრო უფროსნი დაკმაყოფილდნენო.

იუწყებიან, იაპონია [illegible]ა თხოულობს, რომ რუსის გემებს აეკრძალოთ ჩინეთის ნავთსადგურებში შესვლა, რადგან ამ ჟამად იაპონია სხვებზე მეტად არის მოსურნე ჩინეთის ნეიტრალიტეტს და იმას, რომ საქმეში სხვა სახელმწიფონი არ ჩაერივნენ. იაპონიას იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს, ამიტომ ჰფიქრობს ისეთ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას, რომლის ძალითაც უნდა გადაეცეს იაპონიას რუსის გემები, როგორც ჩინეთის ნავთსადგურებში შესულნი და იარაღ აყრილნი, ისე პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკში მყოფნი.

ბერლინი. ნიუჩუანიდან მიღებულ ცნობებით, 13 აგვისტოს იაპონელებმა ყველგან განაახლეს ლაშქრობა. იმ დივიზიამ, რომელიც მზვერავთა რაზმებს მისდევდა, 12 აგვისტოს აიღო ლიანდანსიანი; ამის შემდეგ იაპონიის მთელი ჯარი იერიშით გაემართა ლიაოიანისაკენ.

ნიგორგი. ჩრდილოეთისკენ გაიარა დიდმა გემმა რუსის დროშით. თან ამ გემს ორი ნაღმიანი გემი ახლდა.

პეტერბურგი. 14 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზე, ხემწიფე იმპერატორი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და კავალერიის გენერალ-ინსპექტორი დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე პეტერგოფიდან წაბრძანდნენ იმ ადგილებში, საიდანაც ჯარი უნდა წავიდეს შორეულ აღმოსავლეთს.

15 აგვისტო

ტოკიო. ნოძუსა და კუროკის არმიებს კიდევ მაშველი ჯარი გაეგზავნათ, სახელდობრ—მერვე დივიზია, კავალერიის მეორე ბრიგადა და სამი სარეზერვო დივიზია.—პორტ-არტურთან მყოფ პირველ დივიზიის სარდალი პრინცი ფუშიმა, რომელიც მთავარ მონაწილეობას იღებდა პორტ-არტურთან დღემდის მო[illegible]ხდარ ბრძოლებში, გამოწვეულ იქმნა ჯარიდან და სხვა თანამდებობა მიიღო.—მარშალი იამაგატა იაკაჰამაში იმყოფება.—ხმა არის, რომ 13 აგვისტოს ოკუმ გაილაშქრა ანშანჯანისაკენ, ხოლო კუროკიმ—ანპინისაკენ.

ლონდონი. იაპონიის საელჩოს არავითარი ცნობა არ მოსვლია „სტანდარტ“-ში დაბეჭდილ ამბის შესახებ, ვითომ პორტ-არტური იაპონელთ უკვე აეღოთ.

სახალინი. ალექსანდროვსკში მოვიდა ნავი 13 იაპონელით; ეს ნავი კუსუნაის ახლო იქმნა დაჭერილი.

ლიაოიანი. ხმა დადის, [illegible] იმ იაპონელნი მალე ახალ იერიშს მიიტანენ პორტ-არტურზე ერთ-ერთ მთვარიან ღამესაო.—ლიაოიანში შეჰნიშნეს იაპონელთა ჰაეროსტატი, რომელიც, ალბად, ინკოუს აუშვეს ჰაერში იაპონელებმა.—თუმცა გუშინდელი ბრძოლა საკეთილოდ დასრულდა, რუსები, როგორცა სჩანს, მაინც აპირებენ ლიაოიანიდან უკან დაწევას. გზა ხარბინისაკენ სრულიად თავისუფალია.—ამბობენ, ოთხის დღის წინად გენ. სტესელისაგან ცნობა მოვიდა, პორტ-არტური კიდევ ექვს კვირას გაუმაგრდება მტერსაო.—13 აგვისტოს პორტ-არტურიდან მოვიდა ამერიკის საზღვაო აგენტი; ის ჰფიქრობს, რომ პორტ-არტური საომის თვის განმავლობაში გაუმაგრდება იაპონელთ.

ტოკიო. პორტ-არტურთან მებრძოლ არმიიდან ცნობა მოვიდა, რომ იაპონიის ქვეითა ჯარმა მოახერხა და რამდენისამე იერიშის შემდეგ საბოლოოდ დაიპყრო სიმაგრე იტშანი. იაპონიის არტილერია ამ ადგილიდან დაუშენს ზარბაზნებს რუსების შიდა ციხეს და სუიშინის სიმაგრეებს.

ნიგორგი. აქ რომ რუსის სამხედრო გემმა გაიარა, რომელსაც რამდენიმე ნაღმიანი გემიც ახლდა, ალბად, კრეისერი „ტერეკ“-ი იყო.

მოგილევი. შორეულ-აღმოსავლეთში გაემგზავრა წითელ ჯვრის მოგილევის განყოფილების სასანიტარო რაზმი.

გიბრალტარი. ამერიკის კრეისერ „ბალტიმორ"-ს ებრძანა ჩინეთის წყლებში წავიდეს.

მუკდენი. ღამე წავიდა ჩრდილოეთისაკენ ხელმწიფე დედოფლის სახელობის სასანიტარო მატარებელი 12 აგვისტოს დაჭრილ 120 სალდათითა და 5 ოფიცრით. დაჭრილთა სიტყვით, უკვე სამი დღეა, რაც განუწყვეტელი ბრძოლაა მთელ აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე. განსაკუთრებით გამწვავებული ბრძოლა ჰქონდა აღმოსავლეთის ფრონტზე, ანპინთან, ციმბირის მესამე კორპუსის ჯარს. აქ იაპონელთა ორი ბატარეა სრულებით ჩააჩუმეს; სამხრეთის ფრონტზე ჩვენ ჯარს უჭირავთ სიმაღლეები ანშანჯანთან.

ვაშინგტონი. იაპონიის ელჩმა 14 აგვისტოს წარუდგინა სახელმწიფო მდივანს ნოტა, რომლითაც იაპონიამ მიმართა ყველა დიდ სახელმწიფოს. იაპონია აცხადებს: თუ რუსეთი დაუყოვნებლივ არ აჰყრის იარაღს შანხაიში მყოფ სამხედრო გემებს, იაპონია იძულებული იქნება ისეთ ზომებს მიმართოს, რომელსაც საჭიროდ დაინახავს თავის ინტერესების დასაცველადაო.

16 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა, მთავარ-შტაბს 14 აგვისტოს: „სამხრეთ მხარეს 13 აგვისტოს ჩვენმა მოწინავე ჯარმა ნელ-ნელა უკან დაიწია და მხოლოდ ცოტა ხანს შეჩერდა ანშანჯანის გამაგრებულ პოზიციაზე. მთელ ამ მხარეს სროლაა ატეხილი ჩვენსა და იაპონიის ჯარს შორის. იაპონიის არტილერია ყუმბარებს უშენდა ჩვენ პოზიციის სხვა და სხვა ადგილს. ჩვენი ზარბაზნები ყუმბარებს ისროდნენ იმ ადგილისკენ, სადაც იაპონელთა ნაზმები გამოჩნდებოდნენ ხოლმე და სადაც თხრილებს მართავდნენ. ჩვენის ყუმბარების გამო მტერმა აშალა დიდი ბანაკი ფამაინთან და ბაისიაზაისაკენ გადაიტანა. საღამოს 6 საათზე სროლა ყველგან მისწყდა. უფრო ცხარე ბრძოლა მოხდა სამხრეთ ფრონტის მარცხენა ფრთეზე. მთელ სამხრეთ ფრონტზე ჩვენ დავკარგეთ 200 კაცამდე. ღამე ჩვენმა მოწინავე რაზმებმა უკან დაიწიეს და მთავარ პოზიციაზე დადგნენ. სამხრეთ ფრონტის წინააღმდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მოდიოდა იაპონელთა ხუთი დივიზია. ამ მხარეს ჩვენმა ჯარმა მოიგერია იერიშით მოსული იაპონელები. საღამო ჟამს მარჯვენა ფრთეს ჯარი წინ წავიდა და უკუ-აგდო მტერი ტუნსინპუსა და ტასუნტუნისკენ. მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ დავკარგეთ 400 კაცამდე. აღმოსავლეთის მხარეს 13 აგვისტოს ჩვენ ჯარს ცხარე ბრძოლა ჰქონდა იაპონელთა ძლიერ რაზმთან. მარჯვენა ფრთეზე, ცეგოუსა და ანპინლინთან, ჩვენი ქვეითა ჯარი უზარბაზნებოთ მხნედ და მამაცად იგერებდა ძლიერ მტრის იერიშებს. საქმე ხიშტებამდე მივიდა. პოლკებში არიან ისეთი აფიცრები, რომელნიც ცივის იარაღითა და რევოლვერის ტყვიებით არიან დაჭრილნი. მოწინავე პოზიციებზე ცხარე ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა ცეგოუსა და ანპინლიდან უკან დაიწია და დადგა მთავარ პოზიციაზე. აქ ჩვენ ჯარს არტილერიაც მოეშველა. მარცხენა ფრთეზე, ცეგოუსიაან, ჩვენ მოწინავე პოზიციას ღამის პირველ საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე იცავდა ტამბოვის პოლკი; ამ პოლკმა მოიგერა ყველა იერიში იაპონელთა მიერ ხიშტებით მოტანილი. თვით პოლკი 4-ჯერ მივიდა იერიშით მტერზე. პოლკის უფროსი კლემბოვსკი დაიჭრა. მაგრამ ბოლოს ეს პოლკი იძულებული გახდა სრულის წესითა და რიგით უკან დაწეულიყო და დაეტოვებინა ექვსი გაფუჭებული და დამტვრეული ზარბაზანი, რადგან ცეგოუს პოზიციას იაპონელებმა მარცხენა მხრიდან მოუარეს და ამას გარდა იმათმა ბატარეამ ხაუის სიმაღლიდან ყუმბარები დაუშინა. იაპონელები თავ-გამოდებით მოდიოდნენ საიერიშოდ. უთუოდ დიდი ზარალი მოუვიდათ. ტყვედ ჩაგვივარდა ერთი დაჭრილი იაპონელი აფიცერი. საბჭურნალო შემწეობის შემდეგ, ეს აფიცერი გაექცა დარაჯებს, ქვას თავი დაახალა და გაიტეხა. ჩვენმა ჯარმა წაართვა იაპონელებს საკმაო რიცხვი თოფებისა, ქუდებისა და სხვა ნივთები. ჯერ არ არის მოყვანილი ცნობაში ზარალი ამ ფრონტზე (აღმოსავლეთის მხარეს), მაგრამ ჩვენის ჯარის მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ათას ხუთას კაცს უნდა აღემატებოდეს. ხანგრძლივ და ცხარე ბრძოლის მიუხედავად, ჯარი მხნედ არის; ღამე დიდ წვიმებსა და ტალახში სრულის წესითა და რიგით, მუსიკის ხმაზე, გადად-გადმოდიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორც საჭიროება მოითხოვდა. 14 აგვისტოს მთელ ფრონტზე მტერს მხნედ აღარ გამოულაშქრნია. ჩვენი ჯარის რაზმები თან-და-თან უკან იწევენ და ახალ პოზიციებს იჭერენ. ნაშუადღევის 2 საათზე გამოირკვა, რომ იაპონელები იუდოგოუს გზით ტაენპინზე საიერიშოდ მოდიოდნენ."

(საღამოს დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გერმანული გაზეთები იუწყებიან: გენ. კუროპატკინს ამ ჟამად ლიაოიანთან, 240 ათასი კაცი ჰყავს; იქ საცაა დიდი ბრძოლა მოხდება. თუ გენ. კუროპატკინმა გაიმარჯვა, მაშინვე პორტ-არტურის დასახსნელად წავა. რუსის მთავარ-სარდალი ამბობს, პორტ-არტური კიდევ 2 თვეს გაუმაგრდება იაპონელებსაო. („რ. ლ.").

თუმცა ლიაოიანთან 11 აგვისტოს დიდი ბრძოლა დაიწყო, ზოგიერთი გერმანული გაზეთი მაინც ამტკიცებს, რუსები ლიაოიანს მიატოვებენ და მუკდენისაკენ დაიხევენო.

ბერლინერ ტაგებლატ"-ს ატყობინებენ: გენ. კუროპატკინის ჯარი ვითომ მუკდენისაკენ იხევსო. რუსის მთავარ-სარდალს, ლიაოიანში ციება აწუხებს; ექიმებმა ურჩიეს, ლიაოიანის ჰავა გწყინთ, გირჩევნიათ მუკდენში გადასახლდეთო. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი შენიშნავს, ციება უბრალო მიზეზია, ნამდვილად-კი გენ. კუროპატკინს მუკდენისაკენ დახევა უნდა, მაგრამ იაპონელები უბრძოლველად აღარ გაუშვებენ ხელიდანაო.

„კელნიშე ცაიტუნგ"-ი სწერს: რუსის ჯარი ლიაოიანთან დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. ურჩევნია ლიაოიანი მიატოვოს და მუკდენთან უფრო მარჯვე პოზიციები დაიჭიროსო („ნ. დ.").

„დეილი მეილ"-ს ატყობინებენ ლიაოიანიდან: ამბობენ, იაპონელები ეხლავე მუკდენისაკენ გაჰგზავნიან ჯარსაო. („ნ. დ.").

„ჰავასის სააგენტოს" კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ლიაოიანიდან: ეტყობა, იაპონელები, პირდაპირ მუკდენისაკენ წავლენ. იქნება დიდი ბრძოლა მუკდენს ახლო მოხდეს და არა ლიაოიანთან. მგონია, რუსებმაცა და იაპონელებმაც წინანდელი სამხედრო პლანი შესცვალეს. იაპონელებმა უბრძანეს ჩინელ გენერალს მუკდენში, რუსებს დახმარება არ გაუწიოო. („ნ. დ.").

ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა ინკოუში 30 ათასი ჯარის-კაცი გადმოიყვანეს და 200 ზარბაზანი გადმოიტანესო. ამ ჯარიდან ერთი ნაწილი ლიაოხეს ველით ძველ ნიუჩუანისაკენ წავიდა, მეორე ნაწილი ხაიჩენისაკენაო. („ნ. ვ.").

იაპონელებმა 20 ივლისამდე სამხრეთ მანჯურიაში 60 ათასი კვადრატიული ვერსი ჩაიგდეს ხელში, ანუ თითქმის მუკდენის პროვინციის ნახევარი. („რ. ვ.").

წითელ ჯვრის უმთავრესმა რწმუნებულმა ნიკოლსკ-უსურისკში (ვლადივოსტოკს ახლო) აღმოაჩინა, რომ პერეცის მაღაზიაში დიდძალი ლიმონი იყიდებოდა წითელ ჯვრის ნიშნით. ეს მაღაზია დროებით დაკეტეს; პოლიცია გამოძიებას ახდენს. მანჯურიაში სანოვაგისა და სამხედრო ნივთების ფასი საშინლად იწევს; ზოგიერთი საქონელი სრულებით არ იშოვება. 1 ფუთი ნალის ლურსმანი ხარბინში 80 კაპ. იყიდება. („ნ. ვ.").

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: დიდ ოკეანის მეორე ესკადრა (ბალტიის) ესკადრა მალე წავა შორეულ აღმოსავლეთსაო. ეს ესკადრა 8 ჯავშნიან გემისა, 9 კრეისერისა და მრავალ ნაღმიან გემისაგან შესდგებაო. („პ. ვ.").

საფრანგეთის საზღვაო მინისტრად ნამყოფი ლოკრუა სწერს გაზ. „ეკლერ"-ში: ეხლანდელ ომში ყველაზე მეტი მნიშვნელობა ზღვაში პირველობასა და ბატონობას აქვსო. იაპონელებს რომ პორტ-არტურის ესკადრა არ დაემარცხებინათ, იაპონიის ჯარი მანჯურიაში დიდ გაჭირვებაში ჩავარდებოდა, გამარჯვებაც ვეღარას უშველიდათ. ბალტიის ესკადრის გაგზავნა ლოკრუას არა სჯერა, რადგან რუსეთს არც ერთი ქვანახშირის სადგური არა აქვს გზაში, ნეიტრალურ პორტებში-კი რუსის ესკადრას ქვანახშირს არ მისცემენო. დასასრულ ლოკრუა ამტკიცებს, ნაღმიან გემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ეხლანდელ ომშიო. („ნ.").

რუსებს ულაპარაკნიათ ჩიფუში, 28 ივლისს ბრძოლის დროს, ყველაზე მეტად „რეტვიზანი" და „პალადა" დაზიანდაო. „რატვიზან"-ს 11 ყუმბარა მოჰხვედრია, „პალადა"-ს 15 ადგილას აქვს გვერდი განგრეულიო. („ნ. დ.").

საიგონიდან ატყობინებენ ფრანგულ გაზეთებს, კრეისერი „დიანა" ძლიერაა დაზიანებულიო. („ნ. დ.").

ამ ერთის კვირის წინად პორტ-არტურიდან რუსის ნაღმიანი გემები გამოსულან და იაპონელები თან დასდევნებიან. („. ს.").

იაპონელ სოციალისტების წარმომადგენელს ამსტერდამის კონგრესზე საუბრის დროს უთქვამს „მატენ"-ის თანამშრომლისათვის: გინდ ომი დიდხანს გაგრძელდე', იაპონია მაინც აჯობებს რუსეთსაო; იაპონის ხალხიც საკმაო ჰყავს და ფულიც საკმაოდა აქვს ომისათვისაო. ტოკიოს მთავრობამ წინადვე თადარიგი დაიჭირა, რომ არაფერი არ შემოაკლდეს, გინდ ომმა ორი წელიწადსაც გასტანოსო. („მ. ვ.").

„ტაიმს"-ს ატყობინებენ ჩიფუდან: სამხედრო ექიმმა ზიმანმა იაპონელების სამხედრო საავადმყოფოები დაათვალიერა. ზიმანი ამბობს: იაპონელები თავიანთ დაჭრილ ჯარის კაცებს ბრძოლის ველზე ჭრილობას მხოლოდ უხვევენ და ისეთ წამლით ჰბანენ, რომ იარა არ გაუარჯლდეთ და სისხლი არ მოეშხამოთ. მძიმედ დაჭრილებს, რასაკვირველია, სხვანაირად წამლობენ. უფრო სუმბუქად დაჭრილებს კი ისე უვლიან, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი და იაპონიის სამხედრო საავადმყოფოებში ისტუმრებენ. ბევრი დაჭრილი გზაშივე რჩება. ერთის გემით 2 ათასი დაჭრილი გაისტუმრეს იაპონიაში და ამდენ ხალხში არც ერთი არ მომკვდარა. საზოგადოთ, იაპონიაში გასტუმრებულ დაჭრილთაგან მხოლოდ 3% გარდაიცვალაო.

იაპონელ ექიმს ვადას უთქვამს ინგლისელ ჟურნალისტისათვის: იაპონელები ბრძოლის წინ სუფთად იბანენ ტანსა და, რამდენადაც კი შეიძლება, სუფთასა და ახალს ტანისამოსს იცმენ. ამიტომ როცა იაპონელ ჯარის კაცს ტყვია ან ყუმბარის ნატეხი ჰხვდება, იარაში ჭუჭყი და ჭუჭყიან ტანისამოსის ნაკუწი ვეღარ შეაქვს.

პორტ-არტური. პოლკოვნიკი გედკე ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებს „ბერლინერ ტაგებლატ"-ს: მართალი ყოფილა ის ცნობა, რომ იაპონელებმა 1 და 2 აგვისტოს ფორტები № 3 და № 4 აიღესო. ეს ფორტები რომ დაუჭერიათ, იაპონელებს პორტ-არტურის ციხისათვის ზარბაზანი დაუშენიათო. („მ. ვ.").

„რეიტერის სააგენტოს" ატყობინებენ ჩიფუდან: იაპონელებმა ოქროს გორის („ზოლოტაია გორა") ჩრდილოეთით ფორტი № 25 აიღესო. („ნ. დ.").

„იტალია მილიტერა" სწერს: იტალიის სამხედრო სამინისტროს ცნობა მოუვიდა, იაპონელებმა პორტ-არტურის აღმოსავლეთით ვეშაპის მთაზე („დრაკონოვია გორი") აშენებული ფორტები დაანგრიესო. („რ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ს ატყობინებენ ჩიფუდან: იაპონელებმა იერიში მიიტანეს პორტ-არტურის დასავლეთ ფორტებზე და ფორტი № 5 აიღეს. ეს ფორტი ეხლა დიდ დახმარებას უწევთ იერიშის დროს. რუსები ამბობენ, იაპონელებმა 4 ჯონკა (ნავი) დაიჭირეს; შიგ 100 რუსი და ჩინელი იჯდა; ეს ხალხი დალნიაში წაიყვანეს, იქ, რაც ზედ ფული ჰქონდათ, ჩამოართვეს და კვიტანციები მისცეს. იაპონელმა მოხელეებმა გამოუცხადეს ამ ხალხს, საჭირო საჭმელსა და სანოვაგეს ჩვენ მოგცემთ, და როცა პორტ-არტურს ავიღებთ, მაშინვე გაგანთავისუფლებთ და ფულსაც დაგიბრუნებთ, თორემ ფული რომ ზედ გქონდეთ, ადვილად გაიქცევითო. („რ. ლ.").

„მატენ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: რუსებს პორტ არტურში 15 ათასი კაცი მეციხოვნე ჯარი ჰყავთ, გენ. ფოკის დივიზია, გენ. კონდრატენკოს დივიზია, მე-5 ციმბირის პოლკი და 5 ათასი არტილერისტი. სულ 27 ათასი კაცი უნდა ჰყავდეთ, მაგრამ აქედან 10 ათასი კაცი მაინც უნდა გამოვაკლოთ. გენ. ფოკის დივიზია მე-13, მე-14, მე-15 და მე-16 აღმოსავლეთ ციმბირის პოლკებისაგან შესდგება, გენ. კონდრატენკოს დივიზია მე-25, მე-26, მე-27 და მე-28 პოლკებისაგანაო. („ნ. დ.").

ვლადივოსტოკის ესკადრისა და ადმირალ კამიმურას ესკადრის ბრძოლა 1 აგვისტოს. ვლადივოსტოკის ესკადრას 1 აგვისტოს ბრძოლის დროს კონტრ-ადმირალი იესენი უფროსობდა.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი იწერება ვლადივოსტოკიდან: „როსია" „დაგრომობოი" 3 აგვისტოს დილით დაბრუნდნენ ვლადივოსტოკს. რეიდს მოუახლოვდნენ თუ არა, შორიდანვე შევატყეთ, რომ ძლიერ იყვნენ დაზიანებულნი. საკვამლეები, ანძები, ხიდები და ვენტილიატორები მინგრეულ-მონგრეული, დაცხავებული და გვერდები სულ შენგრეული ჰქონდათ; რკინის ნავები იაპონელებს სულ მიელეწათ, ზარბაზნები დაეზიანებინათ. გვერდები ისე ჰქონდათ შენგრეული, რომ კაცი თავისუფლად შეძვრებოდა შიგა. ყუმბარებს ბევრი კაიუტა დაუნგრევია და რაც შიგ ნივთი და ტანისამოსი ყოფილა, სულ გაუნადგურებია. „როსია"-ზე ერთ აფიცრის კაიუტას ყუმბარა მოჰხვედრია, გვერდი გაუნგრევია, ტანისამოსი შკაპში დაცემულა, გამსკდარა, ტანისამოს სულ დაუფლეთია, მაგრამ სარკე და სხვა ნივთები-კი ხელ-უხლებელი გადარჩენილა. გემის ერთი ნაწილი გაშავებულია ბოლისაგან. ამ ადგილას ცეცხლი გაჩენილა და 8 კაცი ცოცხალი დამწვარა... „გრომობოი"-ს ზედა პალუბა ბრძოლის დაწყების უმალ სისხლით შეღებილა და გვამებით გავსილა. ზარბაზნებთან რამდენიმე რიგი მატროსი გამოიცვალა, თურმე. „გრომობოი"-ს უფროსი კაპიტანი დაბიჩი დაჭრილია. „როსია"-ზე 17 დიდი ზარბაზანია დაზიანებული; ბრძოლის ბოლოს, თურმე, სამს ზარბაზანს და შეეძლო სროლა...

ინგლისელების ჩივილი. ინგლისის პირველმა მინისტრმა ბალფურმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა ლანდსოუნმა 29 ივლის გამოუცხადეს პარლამენტს, რუსეთის მთავრობა დაგვპირდა, კრეისერები „სმოლენსკი" და „პეტერბურგი" ხელს აღარ ახლებენ სავაჭრო გემებსაო. მაგრამ, როგორც დეპეშამ გვაცნობა, „სმოლენსკი" და „პეტერბურგი" ისევ ზღვაში დადიან, ნეიტრალურ გემებს აყენებენ და სჩხრეკენ. ინგლისურ პრესა ძლიერ აღელა ამ ამბავმა. „დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს: თუ ეს ამბავი ტყუილი არაა, „სმოლენსკ"-ს ულაპარაკოდ დიდი ჯარიმა უნდა გადავახდევინოთო. „სტანდარდ"-ი სწერს: „სმოლენსკ"-სა და იმის ამხანაგს („პეტერბურგ-"ს) ხელი უნდა ავაღებინოთ ზღვაში თარეშობაზე. თუ დიპლომატიური მოლაპარაკებიდან არა გამოდის-რა, ამ გემებს ისე უნდა მოვექცეთ როგორც ყაჩაღის გემებს. მაგრამ იქნება ეს ცნობა ტყუილი იყოსო. „ტაიმს"-ი ამბობს: თუ ეს ცნობა სწორეა, შეიძლება საქმე ძლიერ გამწვავდეს; გინდ ის რუსის კრეისერი სამხრეთ-აფრიკის ზღვაში რომ თარეშობს, თავისუფალ ფლოტსაც არ ეკუთვნოდეს, მაინც ამას იქით ვეღარ მოვითმენთ, რომ ვინმე ჩვენს ვაჭრობას აფერხებდესო. „პოსტ"-ი ამბობს: სანამ ოფიციალურად არ შეგვატყობინებენ ამბავს, ნუ დავიჯერებთ, ვითომ რუსეთი თავისი დაპირება არ აესრულებინოს, მაგრამ თუ ეს ცნობა გამართლდა, მაშინ ჩვენმა საზვაო სამინისტრომ მტკიცედ უნდა დაიცვას ნეიტრალურ გემების უფლება და თუ საჭირო იქნება, ძალაც მოიხმაროსო. („ნ. დ.").

ინგლისელ ადმირალს სამხრეთ-აფრიკაში მთავრობამ უბრძანა, რუსის კრეისერი „სმოლენსკი" მოძებნეთო. („ნ. ო.").

ინგლისის კოლონიის კუნძულ მალტის გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, მეომარ სახელმწიფოს გემებს, თუ ეს გემები სამხედრო მოქმედების ასპარეზზე მიდიან, ან ზღვაში თარეშობა და ნეიტრალურ გემების ჭერა სწადიანთ, ქვა-ნახშირი არ უნდა მისცეს მალტას პორტებშიო.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ვაჭრობისა და მრეწველობის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ტფილისში ყოველ თვიურ ჟურნალის გამოცემის შესახებ. ჟურნალში მოთავსებული

მნება სტატისტიკური ცნობები კავკასიის ვაჭრობისა და მრეწველობის შესახებ.

✦ 13 აგვისტოს გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა ტფილისის საგუბერნიო **სასანიტარო კომისიისა.** კომისიამ განიხილა და დაამტკიცა სამაზრო სასანიტარო კომისიების სხდომათა ოქმები.

✦ ტფილისში ჰფიქრობენ თერძებისა, მეწაღეებისა და დურგალთა **არტელის დაარსებას.** ჯერ-ჯერობით 1300 კაცს გამოუცხადებია სურვილი არტელში ჩაწერისა.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ, გზათა სამინისტროს განკარგულების თანახმად, რკინის გზის მოსამსახურეთა საყურადღებოდ გამოაცხადა, რომ **ციმბირის რკინის გზაზე** არ გაიგზავნებიან ისინი, რომელნიც წელს უნდა იქმნენ გაწვეულნი კენჭის ამოსაღებად.

✦ საგუბერნიო გამგეობისაგან ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო **საერობო და სახელმწიფო გადასახადების** გასაწერად უწყებები. გადასახადი შეეწერა 8042 მამულს. ეს მამულები დაფასებულია 72,000,000 მან.

✦ ტფილისის ქალაქის **სახელოსნო სასწავლებელში** განმეორებითი ეგზამენები დაიწყება 22-ს, ხოლო მისაღები 23 აგვისტოს.

✦ გორის მაზრის მემამულეს ბ-ნ კალატოზიშვილს განუზრახავს **საავტომობილო მიმოსვლის მოწყობა** ქარელის სადგურსა და ცხინვალს შუა. შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე აღძრულია.

✦ ტფილისის **რკინის გზის 6 კლასიან სასწავლებლის** ინსპექტორი ნ. ი. სემენოვი ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად გადაიყვანეს, ხოლო იმის ნაცვლად ტფილისში დანიშნეს ბათუმის საქალაქო სკოლის ინსპექტორი ვოევოდა.

✦ გუშინ წინ ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა **ქუთაისის გუბერნატორი.**

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის განკარგულებით, ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო განყოფილება გუშინ შეეკითხა ქალაქის გამგეობას, ქალაქის უბნის ტეხნიკოსები სარგებლობენ თუ არა სახელმწიფო სამსახურის უფლებით და თუ სარგებლობენ, რომელ კანონის ძალითა.

✦ ბათუმის ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისისას აცნობოს, ქალაქის თვით-მმართველობა თავის ხარჯით საზოგადო ან სახაზინო დაწესებულებებს უკეთებს თუ არა ტელეფონებს.

✦ ბათუმის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას, გაუგზავნოს სია ქალაქის დაწესებულებაში მოსამსახურე ექიმებისა და ფერშლებისა.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის სასანიტარო კომისიამ გაუგზავნა პოლიციის ბოქაულებს რვეულები ქარხნებისა, სასტუმროებისა, სახლების პატრონებისა და ვაჭრებისათვის დასარიგებლად. რვეულები ყველამ 10 კაპ. უნდა შეიძინოს 1 სექტემბრამდე. რვეულებში სასანიტარო მზრუნველები აღნიშნავენ ყოველსავე შენიშნულ ნაკლულევანებას და დაავალებენ, რომ პატრონებმა ეს ნაკლი აიცილონ თავიდან.

✦ **დაბა საჩხერე.** 12 აგვისტოს საჩხერეს დასათვალიერებლად სანიტარულის მხრივ მოვიდა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და საგუბერნიო ექიმი სერგეენკო, რომელთაც განკარგულება მოახდინეს სასანიტარო დასის შესადგენად.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას, ტეხნიკოსი გაჰგზავნოს დიდუბის ქუჩაზე ნიკ. ქალანთარის სახლის დასათვალიერებლად, რადგან ეს სახლი ძალიან დაძველებულია და შესაძლებელია დაინგრეს და უბედურება რამ მოხდესო.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების უფროსმა ტეხნიკოსმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, ყურადღება მიაქციოს ტფილისის საბაღოსნო სკოლის წყლის საქაჩავს, რომლის ხმაურობისა და კვამლისაგან მოსვენება არა აქვთ ამ კუთხის მცხოვრებთაო.

✦ ანტონ ქორქოლიანი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: „ბახმაროში ბ-ნმა წუწუნავამ 24 ივლისს გამართა წარმოდგენა, რომლის შემოსავლიდან გადმომცა 50 მანეთი ავადმყოფ სტუდ. ივანე ჯაფარიძისთვის, რაც დაუყოვნებლივ გავგზავნე დანიშნულებისამებრ. ეხლა ვასრულებ ბ-ნ ჯაფარიძის თხოვნას და დიდ მადლობას ვუცხადებ ბ-ნ წუწუნავას და აგრეთვე იმათ, რომელთაც შრომა არ დაიზარეს და დახმარება გაუწიეს წარმოდგენის გამართვის დროს. ესენი არიან: ქ-ნნი თამარ შარაშიძე, ევ. წუწუნავა, მ. ანთაძე, პ. ლორია, მ. ნაკაშიძე, დ. ჩიგიძისა, ს. ქარცივაძე, ლ. ლომაძე და ელ. გეგელაშვილი; ბ-ნნი ნ. ბებურიშვილი, პ. აბაშიძე, შ. შარაშიძე, ივ. ძიძიშვილი და ფ. ქორქოლიანი. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ბ-ნ კ. მიხაილოვს, რომელმაც 1 მან. შემოსწირა ამ საქმეს“.

რუსეთის ქრონიკა

✦ გამოქვეყნებულ ცნობებით 1901 წლის 1 იანვრიდან რუსეთში ირიცხებოდა მცხოვრებთა უძრავ ქონების დარჩენილი გარდასახადი—37 მილიონი მან. უმთავრესი მიზეზი—ხალხის გაჭირვებული მდგომარეობაა.

✦ „რუსკ. ლისტ.“-ს ცნობით, მთავრობას რკინის გზების გამგეობათათვის განკარგულებით მიუმართავს 1905 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვის შემცირების შესახებ.

✦ მინისტრთა კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილებით დაიხურა ქ. ტულის საჯარო წიგნთ-საცავი და, არსებულ კანონის თანახმად, წიგნთ-საცავის მთელი ქონება გადეცემა ადგილობრივ ქალაქის მმართველობას, თუ ეს უკანასკნელი ისურვებს საქმის განგრძობას, თუ არა და ტულის რომელსამე საზოგადო დაწესებულებას.

✦ პეტერბურგში შეკრებილნი სამოსწავლო ოლქების მზრუნველნი პირველ სხდომებზე განიხილავენ შემდეგ საკითხებს უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ: 1) ზაფხულში და დღესასწაულების დროს უქმე დღეების რიცხვის შემცირება და ამის დაგვარად ზოგიერთ ფაკულტეტებზე ოთხი წლის კურსის მაგიერ სამი წლის კურსის შემოღება; 2) უნივერსიტეტში შესვლის მსურველთათვის შესამოწმებელ და საკონკურსო გამოცდის დაწესება; ეგზამენის დაჭერის ნებას მხოლოდ იმ პირთ მისცემენ, რომელთაც სიმწიფის ატესტატში იმ საგნებში, რომელთა შესწავლა სურთ, ნიშანი 4-ზე ნაკლები არა აქვთ; 3) სემესტრების მოსპობა და კურსიდან კურსზე გადასასვლელად ეგზამენების შემოღება; 4) გადამეტებული რიცხვი მოსწავლეთა უმაღლესს სასწავლებლებში, რაიცა აბრკოლებს სამოსწავლო საქმის კარგად დაყენებას; 5) უმაღლესს სასწავლებლებში ახალ ორგანიზაციის შემოღების საჭიროება; 6) მომზადებულ პროფესსორების არჩევა და სხვა-და-სხვა ზომების შემოღება, რათა მეტი სტუდენტები მიიზიდონ სამასწავლებლო ასპარეზზე; 7) საუნივერსიტეტო ახალ წესდების პროექტი; 8) ახალ უმაღლესს სასწავლებელთა გახსნა; 9) შეცვლა დროებითა დებულებისა მოსკოვის საქალებო კურსების შესახებ; 10) უმაღლესს სატეხნიკო სასწავლებლებში მიღება იმ პირთა, რომელთაც დაიჭირეს ეგზამენი გიმნაზიის კურსის ყველა საგნებში, ძველი ენების გარდა. განხილულ იქნება აგრეთვე შემდეგი საკითხები: პროფესსორთა სადისციპლინარო სამსჯავრო, სტუდენტთა ორგანიზაციები და ამხანაგობანი, მაღალ სასწავლებელთა ადმინისტრაციის მოქმედების გაერთიანება და სხვ.

✦ ადგილობრივ გაზეთის რედაქციაში, ირკუტსკში, რკინის გზის ერთ მუშას მიუტანია თავისი დიდი ხელ-ნაწერი—სამეცნიერო თხზულება დედა-მიწის მაგნეტისმის შესახებ. საგნის მცოდნე სპეციალისტებმა წაიკითხეს ხელ-ნაწერი და დარწმუნდნენ, რომ ნამდვილ მეცნიერულადაა შედგენილი და ბევრ საინტერესო მოსაზრებას შეიცავს. ავტორს სწავლა არსად არ მიუღია.

✦ კურსკის გუბერნიიდან ომში გაგზავნილ ერთ სათადარიგო ჯარის კაცის ცოლმა შემდეგის თხოვნით მიჰმართა ადგილობრივ გუბერნატორს: „ჩემი ქმარი, ალექსანდრე მირონოვი, გაიგზავნა შორეულ-აღმოსავლეთში იაპონელებთან საომრად და მე თავისდა-უნებურად უკიდურესს მდგომარეობაში დამტოვა. მომესპო ერთად-ერთი ცხოვრების წყარო, რადგან სრულებით არ გაგვაჩნია ადგილ-მამული. ერობამ შემწეობის მოცემაზე უარი მითხრა, რადგან უშვილო ვარ. გულის სნეულება მჭირს და შრომის უნარი არა მაქვს. მოიღეთ მოწყალება და დამინიშნეთ მთავრობის მიერ დადგენილი შემწეობა—$1^1/_2$ მან. თვეში.

✦ გაზ. „ნოვოსტი“-ს დეპეშით აუწყებენ, რომ ირკუტსკში (აღმოსავლეთ ციმბირი) 30 ივლისიდან 8 აგვისტომდე ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ადმინისტრატიულად გადასახლებულ 59 კაცის შესახებ, რომელთაც ჰბრალდებოდათ იარაღით მთავრობის წინააღმდეგობა და ორი სალდათის მოკვლა. საქმე ხალხის დაუსწრებლად განიხილეს, სასამართლოს დადგენილება-კი საჯაროდ გამოაცხადეს. 55 კაცს მიუსაჯეს 12 წლის კატორგა თითოს, ერთს—სატუსაღო განყოფილება 1 წლის ვადით, 3 კაცი-კი გამართლებულ იქნა.

✦ ომში გაგზავნილ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების შემწეობა კანონით ერობებს დაევალა. პენზის გუბერნიის ერობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებით, მან შემწეობა უნდა აღმოუჩინოს მთელ გუბერნიაში უპატრონოდ დატოვებულ 63 ათას კაცს, რისთვისაც, სულ მცირე—500 ათასი მანეთია საჭირო. ერობას-კი არავითარი შეძლება არა აქვს, რომ გაჭირვებულთა მესამედი ნაწილი მაინც დააკმაყოფილოს.

✦ ენისეის გუბერნიის (ციმბირი) ერთ სოფლის მწყემსმა ჩუმად დაჰკლა პატარა ხბო, კარგად დანაყრდა, დასაძინებლად მოემზადა და ამ დროს დაინახა მისკენ მომავალი მუშების ჯგუფი. მუშები მოუსხდნენ მწყემსს ცეცხლის პირას, არაყი შესთავაზეს, ცეცხლს დაუწყეს ჩხრეკა ჩაის მოსამზადებლად და მიწაში ჩაფლული ახალ დაკლულ ხბოს ძვლები აღმოაჩინეს. არ მოეშვნენ მუშები მწყემს, გამოსტეხეს და უთხრეს: ამ შენგან დაკლულ ხბოს მეორეც წააკალი ჩვენ საკეთილდღეოდ, რადგან პასუხის გებას სულ ერთია ვერ ასცდებიო. მწყემსი უარზე დამდგარა და მუშებს შემდეგ ეშმაკობისთვის მიუმართავთ მწყემსის დასაჯერებლად. გამოუცხადე სოფელს, შეიარაღებული იაპონელები თავს დამეცნენ და წამართვეს ხბორები-თქო. მწყემსმა დაიჯერა, დაუკლა მუშებს ხბო, ლაზათიანად იქეიფა მათთან ერთად, შემდეგ შესძრა მთელი სოფელი საშიშარ ამბის გამოცხადებით. კეტებით, ცელებითა და ცულებით შეიარაღებულნი გლეხები მზად იყვნენ იაპონელთა მოსაგერებლად. აფრინეს კაცი ბოქაულთან, რომელმაც დაუყოვნებლივ პოლიციელთაგან რაზმი შეადგინა და საჩქაროდ გაჰგზავნა იაპონელების აღმოსაჩენად... იაპონელები-კი არსადა სჩანდნენ. ბოქაულმა მაზრის უფროსს აცნობა ამბავი, რომელიც თვითონ მივიდა ამბის გასაგებად. იაპონელთა ამაო ძებნის შემდეგ საქმე გამოიკვლიეს და მწყემსი გამოტეხეს.

✦ გამოცხადებულ სტატისტიკურ ცნობებით, გასულ წლის განმავლობაში რუსეთის რკინის გზებზე გადაუტანიათ სულ $1^1/_2$ მილიარდი (ათას ხუთასი მილიონი) ფუთი სხვა-და-სხვა ნაირი საქონელი.

✦ სამხრეთ გუბერნიების ხელოსანთა საზოგადოებებს შუამდგომლობა აღუძრავთ ფინანსთა სამინისტროში იმის შესახებ, რომ ნება დართონ მათ ისარგებლონ მოკლე ვადიან სესხით სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში.

✦ ბაიკალისა და სადგურ ტანხოის შუა, 40 ვერსის მანძილზე, აკეთებენ უმავთულო ტელეგრაფს სიმენს და ჰალსკეს სისტემისას. სადგურ ბაიკალზე უკვე ჩაიტანეს ორი უმთავრესი აპარატი და ყველა საჭირო მასალა. ჩავიდა აგრეთვე გერმანელი სპეციალისტი ინჟენერი. ეს სისტემა უმავთულო ტელეგრაფისა მუშაობს 75 ვერსის მანძილზე. 40 ვერსზე ხომ საუკეთესოდ უნდა იმუშაოს.

თეატრი

სურამი. 10 აგვისტოს სცენის მოყვარეებმა, ბ-ნ ი. ივანიძის დახმარებით, გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს ა. ცაგარლის კომედია „ციმბირელი“. წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა. მშვენიერი იყო ციმბირელის როლში ბ-ნი ი. ივანიძე. კარგები იყვნენ აგრეთვე პეტუა (ივ. მურვანიშვილი), მაზუთიანი (გ. ვეზირიშვილი) და მაშო (ე. სულიაშვილი) სხვებსაც არა უჭირდათ-რა, კარგა ჩაატარეს თავიანთი როლები. წარმოდგენას ნაკლებად დაესწრო ბილეთიანი ხალხი. დამსწრეთ ტაშის კვრით და რამდენჯერმე გამოწვევით დააჯილდოვეს მოთამაშენი. ქართულ წარმოდგენის შემდეგ ვ. გობეჩიამ წაიკითხა რუსულად „შეშლილის წერილები“ ნ. გოგოლისა.

ი. სურამელი

ს. მარტვილი (სამეგრელო). 6 აგვისტოს, ბ-ნ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას პიესა „და-ძმა“. წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა და საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა. მოეწონა უფრო ბ-ნი ჩარკვიანი (გაიოზი). მარინეს როლს ასრულებდა ქ-ნნი თათეიშვილი. თუმცა მარტვილში ამ ჟამად დიდი გაჭირვებაა, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დაესწრო წარმოდგენას. საზოგადოება კმაყოფილი დაბრუნდა.

პ. ჭ—ძე

საბუე (კახეთი). 18 ივლისს აქაურ ახალგაზდობის მეცადინეობით გაიმართა წარმოდგენა. ქართულად წარმოადგინეს „გაცრუებული იმედები“, კომედია აზიანისა და რუსულად „ორას წლის შემდეგ“, ვოდევილი. სცენა და ეზო კარგად იყო მოწყობილი (მოძრავი სცენა იყო აჯიმამუდოვისა). ეზოში რამდენიმე ფარდული იდგა, კოხტად მოწყობილი. ზოგში ტკბილეულობა იყიდებოდა, ზოგში ნივთეულობა; იყო აგრეთვე ბედის ქვევრი. სეირნობა და ბაზრობა დაიწყო სალამოს 5 საათზე, ხოლო წარმოდგენა 9 საათზე. მონაწილეობას იღებდნენ: კნ. ქ. ჯორჯაძე, თ. ჯორჯაძე, ს. ჯორჯაძე, ქ. ძლენტი და ნ. აბელოვისა; თავ. ჯორჯაძენი, აჯიმამუდოვი, კობიაშვილი და სხვანი. წარმოდგენამ ისე კარგად ჩაიარა, რომ არ მოველოდით.

დამსწრე

წერილები

გულეკარის საზოგადოება (სამეგრელო). გულეკარის საზოგადოებას შეადგენს ხუთი სოფელი: გულეკარი, კეთილარი, კოდორი, ქორესუბანი და ტოლები. ამ უკანასკნელ ორ სოფლის მცხოვრებნი გურულები არიან. წინა წლებში ამ ორ საზოგადოებიდან გადიოდა ორმოცი თუ ორმოცდა ხუთი ათასი ფუთი სიმინდი, რომელიც იყიდებოდა ფოთსა და ბათუმში. ასე იყო წინად, ეხლა-კი ორი წელიწადია ამ ვეებერთელა ქონების პატრონ საზოგადოებას სამყოფი სარჩოც-კი არ მოსვლია. შარშან მეტის წვიმების მიზეზით სიმინდი ყველგან გაყვითლებული იყო და მოსავალიც, რა თქმა უნდა, ნაკლები იქნებოდა. წელს-კი მეტის გვალვისაგან ამეკნარია, ასე რომ მომავალ წელს უარესი დღე მოელის ამ ორის წლის დამშეულ საზოგადოებას. სიმინდის ფასი აქ 1 მ. 20 კაპეიკამდე ავიდა; ჩვეულებრივი ფასი-კი ყოველთვის 50 კაპეიკი იყო. ბუნებამ მაინც არ აკმარა ესდენი გაჭირვება და მოუსავლობასთან ერთად ჩვენ საზოგადოებას მოუვლინა საქონლის ჭირიც. ტოლებსა და ქორესუბანში ორმოცდა ათი უღელი ხარი დაიხოცა ამ სენისაგან. ექიმი თავგანწირულად იბრძვის სენის წინააღმდეგ, მაგრამ ექიმმა რა ჰქნას, როდესაც საცოდავი გლეხი ვეღარ ელევა სასიკვდილოდ თავის ცოლ-შვილის მარჩენალ ხარს და მალავს სადღაც ტყეში იმ იმედით, იქნება მორჩეს და საგაისოდ შემრჩესო. დიდი წყალობა იქნება, თუ მომავალ წლისთვის ამ საზოგადოებას ოცი უღელი ხარი შერჩება. წელს საშინელი მკვლელობაც გავრცელდა აქეთ. 2 აგვისტოს სოფელ ნოღაში მოჰკლეს რკინის გზის დარაჯი დათა კუჭუხიძე, რომელსაც ამოაცალეს 18 მანეთი. მკვლელი ვერ უპოვნიათ.

ა. გვიჩია

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აგვისტო

პეტერბურგი. საიმპერატორო კარის მინისტრის დეპეშა მის უდიდებულესობის მოგზაურობის შესახებ: „15 აგვისტოს, როცა მატარებელი კოზლოვში გაჩერდა, ხელმწიფე იმპერატორი გამობრძანდა ვაგონიდან, მიიღო პურ-მარილი ქალაქის თვით-მმართველობისა და მოქალაქეთა წარმომადგენელთაგან, მოწყალედ მადლობა გამოუცხადა ტამბოვის გუბერნიის ყველა წოდებათ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების მოლოცვისათვის. ყველგან ტამბოვის გუბერნიაში მცხოვრებნი, სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, აღტაცებით ეგებებიან მეფის მატარებელს.

მუკდენი, 16 აგვისტო (სააგენტოს საკუთ. კორრესპ.). 15 აგვისტოს გაგზავნეს ჩრდილოეთისაკენ კიდევ 600 კაცი, 13 აგვისტოს ბრძოლაში დაჭრილი. ამ დღეს იაპონელებმა უეცრად იერიში მიიტანეს ლამე რუსების შუა-გულსა და მარცხენა ფრთეზე. იმედი ჰქონდათ, მოულოდნელად თავს დასხმოდნენ რუსებს. იაპონელთა რაზმები უსროლველად მიუახლოვდნენ რუსების ჯარს და ხიშტებით მიესიენ. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. განსაკუთრებით მარჯვედ მოქმედებდა ზარაისკის მე-139 პოლკი, რომელმაც მოდარაჯე რაზმის ბატარეასთან ერთად შეუმჩნევლად შემოუარა მტრის მარჯვენა ფრთეს. ამავე დროს იაპონელებმა რუსების მარცხენა ფრთეს შემოუარეს და როცა იერიშის მოსატანად გამოილაშქრეს, ზარაისკის პოლკმა ზურგიდან დაუშინა ზარბაზნები. იაპონელთა რამდენიმე რაზმი გაწყდა. ბრძოლის ყველა მონაწილენი მოწმობენ, რომ იაპონელები ფანატიკურის მამაცობით იბრძოდნენ. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა დაჭრილებმა თავი მოიკლეს, რომ რუსებს ცოცხლად არ ჩავარდნოდნენ ხელში.

ნანსი. ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა: გაუგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს ადრესსი და გამოუცხადოს თავისი გაკვირვება პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკში ჯარის კაცთა გმირობის გამო.

ვაშინგტონი. („რეიტ. სააგ.“). სახელმწიფო დეპარტამენტს არ უცნობებია იაპონიის ელჩისათვის შეერთებული შტატების

აზრი ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ. მთავრობას იმედი აქვს მხოლოდ, რომ ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაცული იქნება. ამერიკის მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ რუსეთის გემები უბრძოლველად აიყრიან იარაღს.

ლიაოიანი. („რეიტ. სააგ.“) პორტ-არტურიდან მოსულებმა მოიტანეს დეპეშები და უტყუარი ცნობები ციხის მდგომარეობის შესახებ. ციხე ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ეს პორტ-არტურის გარედ მყოფ რუსებს ჰგონიათ. იგი კიდევ ორ თვეს გაუძლებს მტერს, შეიძლება წლის დამლევამდისაც, თუ იაპონელთ მაშველი ჯარები არ მოუვიდათ. თუმცა იაპონელები ძველ ქალაქს ყოველ დღე 120 ყუმბარას ესვრიან, რესტორანები და კლუბები მაინც გაღებულია და ქალაქში სრული წესიერება სუფევს.—ანშინჯანიდან რუსებმა სრულის წესით უკან დაიწიეს 14 აგვისტოს საღამოს. მოწინავე რაზმების შეტაკება 13 აგვისტოს დილას დაიწყო და შემდეგ დიდ ბრძოლად გადაიქცა. ზარბაზნების და თოფების სროლა მთელი დღე და საღამო გაგრძელდა. რუსებმა საშინელი სროლა აუტეხეს მსწრაფლად მოსეულ იაპონსლებს. რუსების ზარალი 300 კაცია.

ლონდონი. („რეიტ, საგ.“). იაპონიის ჯარის მთავარ სადგომიდან იუწყებიან, რომ როგორც ჰფიქრობენ, კუროპატკინს იაპონიის ჯარის წინააღმდეგ უნდა ჰყავდეს, სულ ცოტა, თორმეტი დივიზია მაინცაო.—„რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან, რომ იაპონელების გამოლაშქრებამდე დავათვალიერე რუსის პოზიციები ლიაოიანს გარშემო; ეს პოზიციები საუცხოვოა და ანშანჯანიდან იქით-აქეთ მიდისო.

მუკდენი. განუწყვეტლივ მიდის რუსის ახალ-ახალი ჯარი და ზარბაზნები. დიდის ხნის უკან დახევის შემდეგ, ახალ რაზმების მოსვლის გამო, რუსის ჯარი აღფრთოვანებულია. როგორც ისმის 12 აგვისტოს მარშალი ოიამა ხაიჩენს მისულა.

ჩიფუ („რეიტერის სააგენტო“). იაპონიის ჯარი, რომელიც პორტ-არტურს არტყია, სამის დივიზიისაგან შესდგება: ერთი სდგას აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით, ხოლო მესამე რეზერვად არის და ჩრდილოეთით იმყოფება. იაპონელების ზარალი, როგორც ეხლა თვითონ ანგარიშობენ, სულ 15,000 კაცამდე იქნება.—იაპონელთა ჯარის თავმოყრას საზღვაო ბანაკში ხელი შეუშალა ჩაწყობილმა ფუგასებმა. რუსის მთავარი ჯარი აღმოსავლეთით იმყოფება. რუსებს უნდოდათ, იერიში მიეტანათ იაპონელთა მიერ აღებულ გარეთა სიმაგრეებზე, მაგრამ ამ განზრახვას თავი მიანებეს. იაპონელებმა დასავლეთით დაიჭირეს იტშანი, აღმოსავლეთით—ჩანჩანგოუ, მიუახლოვდნენ პორტ-არტურის მთავარ სიმაგრეების წრეს და ამ რიგად სამი მხრიდან მიდიან იერიშით ქალაქზე, რომელთანაც ჯერ კიდევ ბრძოლაა. ჰფიქრობენ, რომ რუსები დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ იაპონელებს რომელნიც ფრთხილად იქცევიან. უმთავრესი ბრძოლა სამხრეთით მოხდა, მაგრამ აღმოსავლეთით იაპონელებმა გორაკები აიღეს.—მდ. ლიაოზე იაპონელებს ჯერ იერიში არ მიუტანიათ. ინკოუში 26 დიდი ზარბაზანი გადაიტანეს. ეს ზარბაზნები იაპონელებს ლიაოიანის ალყის შემოსაკვრელად უნდათ. ამბობენ, იაპონელები ახალ ხერხს ხმარობენ ღამის იერიშის დროს: ელექტრონის პროჟექტორების სხივებით იმ ადგილს ანათებენ, რომელზედაც იერიში უნდა მიიტანონ და სადაც რუსის ჯარია; ეს ჯარი, ძლიერ განათებულ სხივების გამო, ველარა ჰხედავს, წინ რა ხდება და როგორ მოდის მტერი.—სიაოლინძში ბრძოლაა. ორსავე მხრიდან ზარბაზნებს კარგად ისროდნენ. ტალახსა და წვიმას არად აგდებდნენ და იბრძოდნენ. რუსის ჯარის მარცხენა და მარჯვენა ფრთეებს კარგი პოზიციები ეჭირათ და დაღამებამდე დიდი წინააღმდეგობაც გაუწიეს მტრებს, მაგრამ იაპონელებმა მარჯვენა მხრიდან დაუწყეს მოვლა და ამის გამო რუსის ჯარმა უკან დაიწია.

14 აგვისტო.

ბრესტ-ლიტოვსკი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო საბჭომ დაადგინა, გამოუცხადოს მასს უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი და უწოდოს ვაჟთა ახალ გიმნაზიას—გიმნაზია მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძისა.

ელეცი. საბჭომ დაადგინა, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო გამოუცხადოს მათ უდიდებულესობათ უქვეშევრდომილესი გრძნობები, აპატიოს ღარიბესს მცხოვრებლებს 9,368 მან. და გადასდოს 8.000 მან. „ალექსი“-ს სახელწოდების პირველ დაწყებით სკოლის დასაარსებლად.

სარატოვი. პეტროვსკის საბჭომ დაადგინა, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო მიართვას მათ უდიდებულესობათ უქვეშევრდომილესი მილოცვის ადრესსი, აპატიოს ღარიბებს მცხოვრებლებს დარჩენილი გადასახადი და 1905 წელს დაარსოს ქალთა სასწავლებელი მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზე.

ანტვერპენი. („რეიტ. სააგ.“). ცეცხლი გობოკენში ჯერ-ჯერობით არ ჩამქრალა. დღეს იპოვეს კიდევ 9 გვამი.

სტამბოლი. სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქმა იჩივლა იილდიზ-კიოსკში, რომ ამ ბოლო დროს სომხები მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი; აზიის პროვინციებში ისევ ავიწროებენ სომხებს და თვით სტამბოლშიაც აპატიმრებენო.—ბოლგარიის წყაროებიდან იუწყებიან, რომ ბერძენთა პატარა ბრბოები ძალ-მომრეობას სჩადიან ბერძენთა სოფლებში.

15 აგვისტო

ვარშავა. დაბრუნდა ვარშავას გენერალ-გუბერნატორი გენ. ჩერტკოვი.

სარატოვი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად მოქალაქეთა საზოგადოებამ დაადგინა: 30 ათასი მ. დარჩენილი ფული აპატიოს ღარიბ მოქალაქეთ; გახსნას 20 ობლისათვის თავშესაფარი, რომელსაც ალექსის სახელი უწოდოს, და გადასდოს ყოველ წელს 2000 მან. უავგუსტოეს მემკვიდრის სახელზე სტიპენდიების დასაარსებლად.

კოვნა. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, განთავისუფლებულ იქმნენ სასჯელისაგან ყველა ისინი, ვისაც სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გადაეწყვიტა სხვა-და-სხვა სასჯელი; აგრეთვე განთავისუფლებულ იქნენ კათოლიკეთა მღვდლები, რომელთაც მონასტრებში დაპატიმრება ჰქონდათ გადაწყვეტილი სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის.

პარიზი. უცხოეთის გაზეთებში დაბეჭდილია ცნობები პარიზში აღმოჩენილ ჯაშუშობის შესახებ. „მატენ“-ი და „პტი პარიზიენ“-ი იუწყებიან, ვითომც იაპონიის სამხედრო აგენტს მოეწადინოს ინდო-ჩინეთის დაცვის შესახებ ცნობების შეტყობა, აგენტი-კი უარჰყოფს ამას. საქმის მცოდნე წრეებში ამ საქმეს სერიოზულ მნიშვნელობას არ აძლევენ.

ჰელსინგფორსი. „ფინლიან. გაზ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება ფინლიანდიაში ამ წლის 23 ნოემბერს საერობო მოხელეთა მორიგ სეიმის გახსნის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,50	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92⅛	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88⅞	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	386	გაყ
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	298½	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	255	
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	87¼	„
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190½	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ექიმის შპინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები“
სიმსუქნის
წინააღმდეგ
და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება
თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.
✦ კოლოფები წითელ ფერისაა ✦
დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—6)

ახალი გახსნილი
სასტუმრო არკადია ნომრებით
(ყოფილი „იალტა“)
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. სად. (88—52—45)

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათზე, საღამოს 5—7 საათზე. (30—3512—7)

გამოვიდა გასასყიდად ახლად დაბეჭდილი
სრული გეოგრაფია საქართველოსი
ბატონიშვილის ვახუშტისა,
ავტორის სურათით, საქართველოს რუკით (ქარტით) და მრავალის ახალის შენიშვნებით მ. გ. ჯანაშვილისა, გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა“.
ღვაწლი ბატონიშვილის ვახუშტისა საქართველოს გეოგრაფიის შედგენით—დაუფასებელია. მისი გეოგრაფია იყო და არის ერთად-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ჩვენის ქვეყნის გაცნობისათვის. მის ამ შრომას სხვაფრივაც აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა: თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ დღეს საქართველოს ნახევარი ადგილების სახელები საუკუნოდ დაკარგული იქნებოდა ჩვენთვის და მეცნიერებისათვის, რომ ღვაწლ-მოსილ ვახუშტს ეს წიგნი არ დაეტოვებია. ვახუშტის გეოგრაფია ძვირფასი შეძენაა ყოველის ქართველისათვის იმითაც, რომ მასში იგი იპოვნის თავისი მხრის ბევრი ისეთი სოფლების, ქალაქების, ნაშთების და ადგილების აღწერას, რომლების არსებობას არც კი მოელოდა.
ჩვენ-მიერ დაბეჭდილი საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა შეიცავს 500 გვერდამდის და ღირს გაგზავნით მხოლოდ 2 მანეთი.
გამწერმა ფული უნდა გამოგზავნოს ამ ადრესით:
Въ Тифлисъ, редакція „Могзаури“, Ивану Павловичу Ростомашвили. (10—211—6)

СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ს[illegible]ნიის ახლოს. (წ.—176—77)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში
ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად ადამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავ ტფილისში სკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:
სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „
ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზ იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (½ ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.
ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. ტელეფონი № 1013.
შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—37

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.
ამხანაგობა რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა
პეტერბურგში.
დაარსებული 1860 წელს
სთხოვენ მყიდველთ რეზინის კალოშებისა ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:

1860
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი).
(60—12)

Электроп. Груз. Изд. Т-ва.